განკარგულება:**გ-17. 17231713**
თარიღი:**20/06/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“-ს დირექტორის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

1. ცნობად იქნეს მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“-ს დირექტორის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა #60ᵃ)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

,,ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი''-ს ანგარიში

2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება ,,ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი''-ს 2022 წლის ფისკალური გეგმა შეადგენდა 2 373 800 ლარს, ხოლო საკასო ხარჯმა კი შეადგინა 2 351 898 ლარი. ეკონომია 21 901 ლარი.

გაერთიანების მიერ ჩატარებულ იქნა კვების პროდუქტების ტენდერები თანხით 516 480 ლარის ოდენობით, რომლის საფუძველზეც მთელი წლის განმავლობაში მარაგდებოდა გაერთიანებაში შემავალი თერთმეტივე საბავშვო ბაღი. დღეში ერთ ბავშვზე გამოყოფილი იყო თანხა 3.50 ლარი.

კვების ტენდერის ეკონომიის ხარჯზე წლის ბოლოს დეკემბრის თვეში თითოეულ აღსაზრდელზე გაიცა საახალწლო ნობათები 16 400 ლარის ოდენობით.

თითოეულ აღსაზრდელზე შეძენილი იქნა სხვადასხვა საჭირო საკანცელარიო ნივთები და ინდივიდუალურად განთავსდა პაკეტებში თანხით 6 895,80 ლარი, ხოლო ნაბეჭდი წიგნების ხარჯმა შეადგინა 1 793 ლარი.

საჭიროებიდან გამომდინარე კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შეძენილ იქნა: ჰიგიენური საშუალებები სხვადასხვა სამედიცინო და სახარჯი მასალა, ყველა საბავშვო ბაღში რეგულარულად ტარდებოდა დეზინფექცია, დერატიზაცია სულ ჯამში თანხით 11 600 ლარის ოდენობით.

სხვადასხვა სანტექნიკური საშუალებებისთვის დაიხარჯა 12 550 ლარი.

2022 წელს კომუნალურმა ხარჯმა (გაზი 120 218 ლარი, დენი 73 363 ლარი, წყალი 8 798 ლარი, შეშა 4 515 ლარი) სულ ჯამში შეადგინა 206 894 ლარი.

თერთმეტივე საბავშვო ბაღში ჩატარდა სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა. განმეორებითი კვლევის შემდეგ საჭირო გახდა ყვიბისის, ახალდაბის და ვადგინეთის საბავშვო ბაღების მომარაგება სასმელი წყლით.

ყველა საბავშვო ბაღისთვის მომზადდა აზომვითი ნახაზები და საევაკუაციო გეგმები თანხით 4015 ლარი, ასევე ბაღები აღიჭურვა ცეცხლმაქრებით, თანხით 4 550 ლარის ოდენობით.

სოფ. დვირის საბავშვო ბაღისთვის შეძენილი იქნა გათბობის ბოილერი 5 300 ლარის ოდენობით.

ადმინისტრაციისთვის შეძენილი იქნა 1 კომპიუტერი და ორი მრავალფუნქციური პრინტერი თანხით 4300 ლარის ოდენობით.

თერთმეტივე საბავშვო ბაღისთვის ტენდერის ფარგლებში შეძენილი იქნა ჭურჭელი 25 740 ლარის ოდენობით, ასევე შეძენილი იქნა საოფისე სკამები 4 030 ლარის ოდენობით.

ხელმისაწვდომობის მიზნით, გაერთიანება მთელი წლის მანძილზე უზრუნველყოფდა სამარშუტო ტაქსის მომსახურებას სოფ ქვაბისხევის და სოფ ჩითახევის აღსაზრდელებსთვის დვირის საბავშვო ბაღში თანხით 11 400 ლარის ოდენობით.

N4 ფაფის საბავშვო ბაგა-ბაღისთვის შეძენილ იქნა ელექტრო პიანინო თანხით 2950 ლარის ოდენობით, N1 და N3 საბავშვო ბაღებისთვის სპეც. სამრეწველო ხორცის მანქანები 4 550 ლარის ოდენობით, ახალდაბის და ყვიბისის საბავშვო ბაღებისთვის ტელევიზორები თანხით 2500 ლარის ოდენობით, ასევე შეძენილი იქნა N3, N4 და ყვიბისის საბავშვო ბაღებისთვის მუსიკალური დინამიკი ერთეულის ფასი 420 ლარი, ხოლო ჯამში 1260 ლარის ოდენობით.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენი“ სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრისგან ქალაქის საბავშვო ბაღებს უსასყიდლოთ გადაეცათ საბავშვო სკამები, მუსიკალური ინსტრუმენტები და 1 ბლუთუზიანი დინამიკი, რომელიც გადაეცა ახალდაბის საბავშვო ბაღს.

გაერთიანების მიერ 25 000 ლარის ფარგლებში ტენდერით განხორციელდა აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდული, გადამზადდა თერთმეტივე საბავშვო ბაღის 41 თანამშრომელი, აქედან 26 აღმზრდელი, 10 მუსიკის პედაგოგი, 5 აღმზრდელის თანაშემზე, რომელთაც გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

2022 წელს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ საქართველოს მაშტაბით შერჩეული უნდა ყოფილიყო 5 სამიზნე მუნიციპალიტეტი, სადაც უნდა განხორციელებულიყო ადრეული კურიკულუმი -„თამაში“-ს დანერგვის პილოტირება, მუნიციპალიტეტებს უნდა დაეკმაყოფილებინათ შემდეგი მოთხოვნები; 1.უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა, ასევე კურიკულუმით გათვალისწინებული მინიმალური რესურსის ხელმისაწვდომობა და ასევე ტრენინგზე ხელმისაწვდომობა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, იყო იმ ხუთ მუნიციპალიტეტს შორის რომელმაც დააკმაყოფილა ყველა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა და შესაბამისად დაიწყო ადრეული კურიკულუმი -„თამაში“-ს დანერგვის პილოტირება, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს დღემდე.

პროგრამის პილოტირების ფარგლებში, კურიკულუმში გადამზადდა 3 დაწესებულების ხელმძღვანელი, 4 მეთოდისტი და 14 აღმზრდელი, ხოლო ინკლუზიაში 5 ფსიქოლოგი, 3 სპეც. პედაგოგი და 2 ლოგოპედი, სულ ჯამში 31 ადამიანი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების „გაერთიანება ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“ პირველი და ერთადერთი მუნიციპალიტეტია საქართველოს მაშტაბით, სადაც 2022 წელს დაიშვა პრეცედენტი და 2022 წლის საშტატო ნუსხაში განისაზღვრა აღმზრდელ-პედაგოგის პოზიცია და დასაქმდა 25 აღმზრდელ-პედაგოგი.

2022 წელი ყველაზე გამოჩეული და მნიშვნელოვანი წელი იყო იმით, რომ ყველა დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება განხორციელდა მეთოდურ და ინკლუზიურ დარგში, რაც განაპირობებს ხარისხიან სკოლამდელ განათლებას, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანია ჩვენი მომავალი თაობის აღზრდისთვის.